# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 84 ხუთშაბათი, 16 იანვარი 1903 წ. გაზეთის № 2041.


# ს ი მ ა რ თ ლ ე

უკანასკნელი რომანი

ზ ო ლ ა ს ი

(შემდეგი)

მარკოზი სახტად დარჩა და შეწუხებული თავის-თავს ეკითხებოდა, ამ დილაზე მღვდელი მელბუაში რად ჩამოსულა, უეჭველია, ვალმარიდან ძალიან ადრე უნდა გამოსულიყო? ისეთი რა საჭირო საქმე ექნებოდა, ვის ნახვას ეჩქარებოდა, საიდან მოდიოდა, რად მიდიოდა ამ ვიწრო ქუჩებით, სადაც ჯერ მითქმა-მოთქმა და მუქარის ხმა არ შემწყდარიყო? რა განზრახვით ურიგებდა ღიმილით სალამს მარჯვნივ და მარცხნივ? მარკოზმა შეამჩნია, რომ მორეზენის დანახვაზე იგი შეჩერდა, ხელი გაუწოდა და დიდის ალტაცებით ჩამოართვა. ლაპარაკი ხან მოკლე ჰქონდათ, ალბად ერთმანეთის მოკითხვით გაათავეს, მაგრამ ორივენი თითქო კარგად ეწყობოდნენ ერთმანეთს და ბუნებრივი შეხვედრა ჰქონდათ. როდესაც ინსპექტორი იეზუიტს მოჰშორდა, თითქო თავის თვალში გაიზარდა, ცხადი იყო, რომ ხელის ჩამორთმევამ იმოქმედა. ამ ხელის ჩამორთმევაში ებადებოდა იმას თავის საკუთარი აზრი და ეხლა იქნება ის გადაწყვეტილებაც, რომელსაც აქამდის ვერ დასდგომოდა. კრაბომ იცნო მარკოზი, რომელსაც ქ-ნ დუპარკთან შეჰხვედროდა, სადაც იგი ხანდისხან დაიარებოდა. გვერდზე რომ გამოუარა, ძალიან დაბლა დაუკრა თავი; მარკოზსაც, მეტი ღონე არ იყო, ზრდილობა მოითხოვდა, პასუხი უნდა გაეცა და თან თვალი გაადევნა. მელბუაში ძალიან პატივცემული კრაბო თავმომწონედ, გამარჯვებული ანაფორას მიაფრიალებდა.



წმიდა ნინო.

მარკოზმა წყნარად განაგრძო გზა სკოლისაკენ; შავი ფიქრები კვლავ აეშალნენ, თითქოს სადღაც სენ გადამდებ, მოწამლულ ალაგას მიდიოდა, სადაც მტრულად უნდა დაჰხვედროდნენ. სახლებიც კი იმნაირი აღარ ეჩვენებოდა, როგორიც წინა დღეს იყო; განსაკუთრებით ადამიანებს მიეღოთ სულ სხვა სახე.

როდესაც სიმონთან შევიდა, ძალიან გაკვირვებული დარჩა: მთელი ოჯახი დამშვიდებული დაუხვდა; ამ უბედურობის მწუხარება რომ არა, კაცს ეგონებოდა, ამ სახლში არა ჩვეულებრივი არაფერი მომხდარაო. რახილი ფანჯარასთან მიმჯდარიყო, ორივე ბავშვიც იქვე კუთხეში თამაშობდა, სიმონიც დამშვიდებული რაღაც ქაღალდებს ალაგებდა.

სიმონი მაშინვე მიეგება, ისეთის სიამოვნებით ჩამოართვა ორივე ხელი, რომ აგრძნობინა რა მადლიერიც იყო იმ ერთგულ მეგობრობისათვის, რომელსაც მარკოზი იმას უცხადებდა. ლაპარაკი მაშინვე სახლის გაჩხრეკაზე ჩამოვარდა.

— პოლიცია იყო შენთან?—ჰკითხა მარკოზმა.

— დიაღ; ასეც უნდა ყოფილიყო! მე მოველოდი. რასაკვირველია, ვერა იპოვნა რა და ხელ-ცარიელი დაბრუნდა.

მარკოზმა გაკვირვება შეიკავა. მაშ რა უთხრეს? რისთვის დაეგდოთ ხმა, ვითომ პოლიციამ საბრალმდებლო საბუთები აღმოაჩინა და, სხვათა შორის, იმ ქაღალდის ნიმუშიც იპოვნა, რომელიც მოკლულ ბავშვის ოთახში ნახესო. მაშ სიცრუე უთქვამთ?

— ხომ ჰხედავ,—განაგრძო სიმონმა,—მე ეხლა ცოტათი რიგზე მომყავს ის ქაღალდები, რომელიც იმათ ამირიეს. რა საშინელება გვეწვია, ჩემო მეგობარო! ისე ვართ, რომ ჩვენი თავისა აღარა გვახსოვს-რა...

პატარა ზეფირინი ამ დილაზე უნდა გაექრათ და ეხლა ელოდნენ ექიმს, ამისთვის საგანგებოდ გამოძიებაც დაენიშნა. დასაფლავებას კი მეორე დღეზე ადრე ველარ მოასწრებდნენ.

— შენ თვითონ წარმოდგენილი გექნება, რა საშინელ მდგომარეობაში უნდა ვიყო. ესოდენი უბედურობა შესაძლებელია განა, ვკითხე ჩემს თავს. გუშინ დილიდან დაწყობილი სხვა აღარაფერზე ფიქრი არ შემიძლიან; სულ ერთი და იგივე მაგონდება,—როგორ დავბრუნდი ფეხით, როგორ დავიგვიანე, როგორ დამშვიდებული შემოვედი ამ მიძინებულ სახლში და მეორე დღის რა საზარელი გამოღვიძება იყო ჩემთვის!

მარკოზს შემთხვევა ეძლეოდა ცოტა რამ ეკითხნა:

— გზაში არავინ? შეგხვედრია არავინ არ შეგხვედრია იმ დროს, რა დროსაც დაბრუნდი?

— არა, არავინ შემხვედრია და არც მგონია ვისმე დავენახე დაბრუნებული. იმ დროს მელბუაში ადამიანის ჭაჭანება არ არის ხოლმე.

პატარა სიჩუმე ჩამოვარდა.

— მაშ რადგან მატარებლით არ დაბრუნებულხარ, უკან წამოსასვლელი ბილეთი აღარ დაგჭირდებოდა და ხომ დაგრჩებოდა; გაქვს კიდევ შენახული ეს ბილეთი?

—უკან წასასვლელი ბილეთი? არა. როდესაც $10^1/_2$ საათის მატარებელმა ცხვირ წინ ჩამირბინა, ისე გავბრაზდი, რომ იქვე სადგურის ეზოში გადავისროლე ჩემი ბილეთი, რადგან ფეხით დაბრუნება გადავწყვიტე.

კიდევ ჩამოვარდა სიჩუმე, რომლის განმავლობაში სიმონი გაშტერებული უყურებდა მეგობარს.

— მაგეებს რადა მკითხავ?

მარკოზმა მეგობრულად ჩამოართვა ორივე ხელი, მაგრამ დაუჭირა და გადასწყვიტა ყველაფერი ეთქვა, რა განსაცდელიც მოელოდა იმას.

— დიაღ, ძალიან ვწუხვარ, რომ შინ დაბრუნებული არავის უნახავხარ და უფრო კიდე იმასა ვწუხვარ, რომ უკან წა-

მოსასვლელი ბილეთი არ შეგინახავს. ხომ იცი, რაოდენი სულელი და ავი კაცი გვახვევია! ხმა დაუგდიათ, ვითომ პოლიციამ შენს სახლში საბრალმდებლო საბუთები აღმოაჩინა, შენი



ბეთლეემში ლტოლვა:—სურათი ლეზენ-მაიერისა.

ხელ მოწერილი იმ ქაღალდის ნიმუშიც რამდენიმე ცალი იპოვნა. მინოტიც გაკვირვებულია თურმე შენის არა ჩვეულებრივის ძილით და რუზერის ქალს ხომ კიდეც უთქვამს, იმ ღამეს, თერთმეტს რომ ჩარექი აკლდა, ყვირილი და ფეხის ხმა გავიგონე, თითქო სკოლაში ვილაც შემოვიდაო.

სიმონი ფერ წასული, მაგრამ დამშვიდებული იღიმებოდა და მხრებს იწევდა.

— მაშ ეგრე! იქამდის მივიდა საქმე, რომ ჩემზედაც ეჭვი შემოიტანეს! ეხლა კი მივხვდი ამ დილაზე თავ აღერილი რად მიყურებდნენ ყველა ისინი, ვინც წინად ჩემს წინ თავ დახრილი გაივლიდნენ ხოლმე. მინოტი თუმცა კარგი ყმაწვილია, მაგრამ ურიას გულისათვის რომ საქმე არ წაიხდინოს, ისიც სხვების ფეხის ხმას აჰყვება; რაც შეეხება რუზერის ქალს, საკმარისია თავის მღვდელმა ერთი წასჩურჩულოს, რომ ათჯერ გამყიდოს, თუ ამ მოქმედებით რამე სარგებლობა მოელის. მაშ ესე! მე მაბრალებენ და, აჰა, მომესივნენ დაგეშილი კლერიკალები!

ამას რომ ამბობდა, თითქოს იცინოდა; მაგრამ რახილი, რომელიც ჩვეულებრივ ისე იჯდა ხოლმე, თითქო ლაპარაკი იმას არ შეეხებოდა, ცეცხლ მოდებული, გულ-ნატკენი უცბად წამოდგა:

— როგორა, შენ, შენ გაბრალებენ ამ უსირცხვობას?! შენ, რომელიც გუშინ ისეთი ტკბილი და კარგი დამიბრუნდი? რომელსც გულში მიკრული გეჭირე და ალერსიან სიტყვებს მეუბნებოდი? ეს ხომ მტკნარი უგუნურობაა! განა, საკმაო არ არის ყოველივე სიმართლე ვსთქვა,—რომელ საათზედაც დაბრუნდი, ან როგორ გავატარეთ ერთად ღამე?

ტირილით ეხვეოდა კისერზე თავის ქმარს, რომლის ალერსით და სიყვარულით მთლად მისუსტებულიყო.

— ნუ გეშინიან, ჩემო ძვირფასო! ეს გამოგონილი ისტორია მტკნარი უგონობაა და ბოლოც მალე მოეღება. რაც უნდა ჰქმნან, მე დამშვიდებული ვარ. თუ უნდათ, მოვიდნენ კიდევ, მთელი ჩემი სიცოცხლე გასჩხრიკონ, დასაძრახისს ვერაფერს ვერ იპოვნიან. ჩემთვის ჩემი სიმართლე კმარა, სიმართლეს წინ არაფერი დაუდგება, იგია მარტო დიდი და ბოლომდის უძლეველი.

— აგრე არ არის, ჩემო კეთილო მარკოზ?—მიუბრუნდა თავის მეგობარს,—თუ კაცთან სიმართლეა, იგი უძლეველია, არა?

წინდა-წინვე რომ არ ყოფილიყო იმის სიმართლეს დარწმუნებული, მარტო ეს სცენა და ეს გაგონილი სიტყვები საკმაო იყო, რომ ყოველი ეჭვი გაჰფანტოდა მარკოზს. მარკოზი თავის გულის თქმას აჰყვა და ორივეს გადაეხვია, თითქო უნდოდა ეთქვა, რომ მე მთლად თქვენ გეკუთვნით, რომ მეც დაგეხმარებით, რათა თავიდან აიცდინო ეს მძიმე განსაცდელიო. რადგან მაშინვე უნდოდა საქმეს შესდგომოდა, ქაღალდის ნიმუშზე ჩამოუგდო ლაპარაკი. მარკოზი კარგად ჰგრძნობდა, რომ ამ ქაღალდსა ჰქონდა მარტო დიდი მნიშვნელობა, რომ ამ საბუთზე უნდა შემდგარიყო და აშენებულიყო მთელი საქმე. მაგრამ ვის შეეძლო მიმხვდარიყო იმ საიდუმლოებას, რომელსაც ეს დაჭმუჭნული, დაკბენილი, დადორბლილი ქაღალდი შეიკავდა, რომლის ერთი ყური თითქო კბილით წაეგლიჯა მსხვერპლს და რომელზედაც ქვეშ მოწერილი ხელი ან იქნება უბრალოდ დალვენთილი მელანი ნახევრად წაშლილი იყო. იმ ქაღალდზე დაბეჭდილი სიტყვებიც-კი—„გიყვარდეთ ერთმანეთიო“—თითქო სამართალს დასცინოდა. საიდან გაჩნდა ეს ქაღალდი? ბავშვის მოტანილი იყო, თუ მკვლელისა? ვისთვის დაედოთ ხელი, მაშინ როდესაც მილჰომის ქალების მაღაზიაში ყველა ყიდულობდა ამ ნიმუშის ქაღალდს. სიმონს სვინიდისის ქვეშ მარტო ის შეეძლო ეთქვა, რომ ჩემს კლასში ამნაირი ნიმუშის ქაღალდი არ მიხმარიაო.

— ყველა ჩემი მოსწავლენი იტყვიან, რომ ამ ნიმუშის ქაღალდი თავის დღეში არ გვიხმარია კლასში და არც თვალით უნახავთ.

ეს ძალიან დიდ მნიშვნელოვან გარემოებად მიაჩნდა მარკოზს.

— მაშ იმათ შიუძლიანთ გიმოწმონ ამ საგნის შესახებ? რადგან ხმა დაჰყარეს, ვითომ პოლიციამ შენს სახლში სწორედ იმისთანა ნიმუშები აღმოაჩინა, ეხლავე სიმართლე უნდა გამოაშკარავდეს. უნდა ვნახოთ შეგირდები; თავიანთ მშობლების წინ ჩვენება ჩამოვართვათ, მანამ ჯერ კიდე ბავშვების ხსოვნა არვის შეურყევია. ეხლავ დამიწერეთ რამდენისამე მოსწავლის გვარი,—ამას მე ვკისრულობ და ნაშუადღევს ყველაფერს მოვასწრებ.

სიმონი, თავის სიმართლეს დარწმუნებული, ჯერ უარს ეუბნებოდა, ბოლოს დასთანხმდა და რამდენისამე მოსწავლის ბინადრობა დაუწერა: ერთი—ფერმერის ბონგარდის ადრესი მისცა, დეზირადის გზაზე, ერთიც მუშის მასსონ დოლუარისა, პლეზირის ქუჩაზე, და ერთიც მოხელე სავინისა, ფოშის ქუჩაზე. ჯერ-ჯერობით ეს სამი საკმარისი იქნებოდა; შეიძლებოდა მისულიყო მილჰომის ქალებთანაც, ქაღალდის მაღაზია რომ ჰქონდათ. ამ ნაირად დააწყეს პირობა: მარკოზი საუზმის საჭმელად უნდა წამოსულიყო და საღამოზე ისევ უნდა მისულიყო, რომ თავის გამოძიების ამბავი ეცნობებინა.

გამოვიდა თუ არა მოედანზე, მარკოზმა კვლავ დაინახა კოხტა მარეზინი, რომელიც დიდ საიდუმლო ბაასში იყო რუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზერის ქალთან. პირველ დასაწყის სკოლების ინსპექტორი ჩვეულებრივ ზრდილობიანად ეპყრობოდა მასწავლებელ ქალებს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ერთმა მასწავლებელმა ქალმა კინაღამ დიდი უსიამოვნება მიაყენა, იმიტომ რომ წივილ კივილი შეჰქმნა, როგორ თუ ჩემი კოცნა მოინდომეო. მართალია, რუზერის ქალი გონჯი იყო, მაგრამ სამაგიეროდ, როგორც ამბობდნენ, წივილ-კივილი არ იცოდა და ალბად ამიტომ ჰყავდათ უფროსებს კარგ ნიშნებით აღნიშნული და, უეჭველია, მალე წინაც წასწევდნენ. ბაღჩაში შესავალ კარებთან მდგომი რუზერის ქალი ძალიან ხალისიანად ელაპარაკებოდა და ხელებს იქნევდა, თან სკოლაზე უჩვენებდა მორეზინს, რომელიც გულმოდგინედ უსმენდა და გაკვირვებით თავს მაღლა სწევდა. პატარა ხანს უკან ორივენი ბაღში შედიოდნენ და ბაღჩის კარებიც ტკბილის ჭრიალით მოიხურა. აშკარა იყო, მკვლელობის ამბავს უამბობდა და იმას, როგორ გაიგონა ფეხის ხმა და მერე ყვირილი.

მარკოზმა იგრძნო, რომ კვლავ მტერთა შორის იყო, რომელნიც საიდუმლოდ საძაგელ შეთქმულობას ამზადებდნენ. ამ შეთქმულებით ჰაერი უკვე გაჟღენთილიყო და სალაა ქუხილით თავს დაატყდებოდა; დილანდელსავით ციების ჟრუანტელმა დაუარა. ინსპექტორს, რომელიც შურით და მტრობით მოლაპარაკეთა ჭორებს ისმენდა, ეტყობოდა თავისებურად ესმოდა მასწავლებლის დახმარება.

ორი საათი იქნებოდა, მარკოზი რომ მელბუაში შემოსავალ დეზირადის გზაზე იყო. აქ იდგა ბონგარდი, რომელიც ერთ პატარა ნაჭერ მიწას ამუშავებდა, სწორედ იმდენს, რაც საკმარისი იყო, როგორც თვითონ ამბობდა, რომ ცარიელი პური ეჭამა. ის იყო ბონგარდი სამუშაოდან დაბრუნებულიყო თავის ურმით და მარკოზიც მივიდა. ბონგარდი ზორბა პრტყელ მხარ-ბეჭიანი მოწითალო სახის კაცი იყო, მრგვალი დიდრონი თვალები და წყნარი უმეტყველო გამოხედულობა ჰქონდა; წვერებს თუმცა იპარსავდა, მაგრამ ისე ხშირადაც არა, რომ სუფთა სახე ჰქონოდა. იმისი ცოლიც, მაღალი, ქერა, გამხდარი და ულამაზო დედაკაცი, რომელსაც თვალებს ქვემოდ ლოყები შესწითლებოდა და მთელი სახეც ჭორფლით ჰქონდა აჭრელებული, ეხლა შინ იყო და ძროხას სალაფავს უმზადებდა. ორთავენი, ცოლიც და ქმარიც, როგორღაც უნდობლად შესცქეროდნენ ვიღაც კაცს, რომელიც იმათ ეზოში შემოდიოდა.

— მე ჟონვილის მასწავლებელი ვარ,—უთხრა მარკოზმა.—თქვენ თურმე პატარა შვილი გყოლიათ, რომელიც მელბუას საერო სკოლაში დაიარება?

ამ დროს მოირბინა პატარა ბიჭმა ფერნანდმა, რომელიც გზაზე თამაშობდა. ფერნანდი კუნძსავით მოჭრილი ცხრა წლის ბავშვი იყო, დაბალი შუბლი და ტეტიური სახე ჰქონდა. უკან მოსდევდა შვიდის წლის და, პატარა ანჟელი, იმნაირისავე სახისა, მხოლოდ უფრო ცქვიტი, ცოცხალის თვალებით, რომლებშიაც ახლად გამოღვიძებული გონება ისე ცელქობდა, თითქო საპყრობილედან გამოვარდნას ესწრაფებოდაო. ბავშმა გაიგო თუ არა რასაც კითხულობდნენ, მაშინვე თავის წრიპინა ხმით მიუგო:

— მე რუზერის ქალთან დავიარები და ფერნანდი კი ბატონ სიმონთან.

ბონგარდს რომ თავისი შვილები საერო სკოლაში მიებარებინა, ამის მიზეზი ჯერ ერთი ის იყო, რომ იქ სწავლა უსასყიდლო იყო, მერე კიდევ ის, რომ. ინსტიქტიურად, თვითონაც არ იცოდა რად, მღვდლები არ უყვარდა. თვითონ სარწმუნოების მამდევარი არ იყო და ცოლიც ეკლესიაში დაიარებოდა, უფრო იმიტომ, რომ ერთხელვე დაჩვეულიყო და ეხლა ისე გასართობად დადიოდა. სრულებით უსწავლელი იყო, ძლივს კითხულობდა და უფრო გაჭირვებით სწერდა. თავის ცოლს კი, რომელიც იმაზე უსწავლელი იყო, პატივსა სცემდა, იმიტომ რომ დილიდან საღამომდის ხმა ამოუღებლივ საქონელსავით ამუშავებდა. შვილების სწავლისათვის არც მაგდენადა სწუხდა; პატარა ფერნანდს დიდ წვალებად უღირდა თავში რამე შესვლოდა; პატარა ანჯელის, რომელიც ამასთანავე ჯიუტი ხასიათისა იყო, თავის ძმაზე ნაკლებ არ უძნელდებოდა სწავლა და ვაი-ვაგლახით საშუალო მოსწავლედ ითვლებოდა სკოლაში.

— მე სიმონის მეგობარი ვარ,—უთხრა კვლავ მარკოზმა, —გამომგზავნა შესახებ იმ ამბავისა... თქვენ გაგონილი გექნებათ მკვლელობის ამბავი?

გაგონილი, რასაკვირველია, ჰქონდათ, მაგრამ ამ ახალ გაგონებაზე ისე ჩაიბნელეს ისედაც უმეტყველო სახე, რომ ვერც ერთ ფიქრს, ვერც ერთ გრძნობას ზედ ვერ ამოიკითხავდით. რად ეკითხებოდნენ ამას? ვის რა ხელი ჰქონდა, ისინი რასა ჰფიქრობდნენ, ან რას ამბობდნენ? მაშასადამე, აქ სიფრთხილე იყო საჭირო, რადგან ერთის მეტის სიტყვისაგან შეიძლებოდა რა არ წარმომდგარიყო და კაციც დაესაჯათ.

— მაშ,—განაგრძო მარკოზმა,—მე მინდა ვიცოდე, თქვენ შვილს კლასში აი ამ ნიმუშის ქაღალდი უნახავს თუ არა?

მარკოზმა გამოსაკითხავად წასვლამდე დაამზადა ეს ქაღალდი, ზედაც ლამაზის ხელით წააწერა: „გიყვარდეთ ერთმანეთიო“ ისე, როგორც იმ საბრალმდებლო ქაღალდზე ეწერა. ამნაირად აუხსნა და აჩვენა ქაღალდი ფერნანდს, რომელიც უგრძნობლად ზედ დასჩერებოდა, რადგან ძალიან მძიმე გონების პატრონი იყო და ვერ მიხვედრილიყო, რას ეკითხებოდნენ.

— აბა, კარგა დააცქერდი, ჩემო პატარა მეგობარო! ამნაირი ნიმუშის ქაღალდი სკოლაში ხომ არ გინახავს?

ვიდრე ბავშვი რამეს იტყოდა, სიფრთხილის გულისათვის ბონგარდი ჩაერია:



ქ. ტფილისის სიონის ტაძარი, სადაც დაცულია წმ. ნინოს ჯვარი.

— არ იცის მაგ ბავშვმა, ან საიდან ეცოდინება?

ბონგარდის ცოლმაც, რომელიც ყოველთვის ქმარსა ჰბაძავდა, გაიმეორა:

— რასაკვირველია, ბავშვია და საიდან ეცოდინება!

მარკოზი ყურადღებას არ აქცევდა იმათ. იმან მისცა ხელში ფერნანდს ეს ნიმუში, სცდილობდა რამე ეთქმევინებინა. ფერნანდმაც, რომელსაც ეგონა, თუ არ ვიტყვი, დამსჯიანო, ძალა დაატანა გონებას და უპასუხა:

— არა, ბატონო, მე ეგ არ მინახავს...

ბავშვმა რომ თავი მაღლა აიღო, დაინახა მამა, რომელიც ისე უბღვეროდა, რომ მაშინვე ლუღლუღით დაუმატა:

— მაგრამ, არ ვიცი, იქნება კიდეც მენახოს...

შესდგა ამაზე და მეტი იმის ენას ვერარა წარმოათქმევინა მარკოზმა. მშობლებიც ალალა ბედზე ხან ჰოს იძახდნენ, ხან არას, იმის მიხედვით, რომელი უფრო სასარგებლოდ ეჩვენებოდათ. ბონგარდს ჩვეულებად ჰქონდა, რაც უნდა წარმოეთქვათ, ყველაფერზე ეთანხმებოდა, ჰფიქრობდა,—ბოლოს არ ვინანოო. დიაღ, დიაღ, ეს მკვლელობა შესაზარი იყო და ძალიან კარგს იზამდნენ, თუ დამნაშავეს იპოვნიდნენ, თავი მოეჭრათ. ყველამ თავის ხელობა იცის, ჟანდარმებმაც თავიანთი ხელობა იციან. უსაქმო მაწანწალა ყველგან ბევრია. რაც შეეხება მღვდლებს, ისინიც მართალნი არიან, მაგრამ მაინც და მაინც ყველას უფლება აქვს თავის ჭკუაზე იაროს. ამნაირად მარკოზი ხელ-ცარიელი უნდა წამოსულიყო.

მელბუას რომ დაბრუნდა, გზაში მწუხარედ ფიქრობდა იმ ხალხის უმეცრებაზე, რომელსაც ეხლა დაეჯახა და რომელიც სქლად გადაჰფარებოდა ამ დაბრმავებულ და დაყრუებულ ხალხის ბრბოს. მთელი ის მხარე, რაც ბონგარდის იქით სოფლები იყო, იმნაირ უმეცრებაში ჩაფლული იყო, რომ დასაბამიდანვე ამ კაცობრიობის უმრავლესობას განათლების სხივი არ მიჰკარებოდა. რამდენი შრომა და ჯაფა იყო საჭირო, რომ ეს ხალხი განათლებულიყო იმდენად მაინც, რომ შესძლებოდათ სიმართლის დანახვა და მიდევნა. კიდევ რამდენ თაობას უნდა გაევლო, რომ ამ ხალხს სიბნელიდან თავი დაეღწია. განა ბონგარდი ნიმუში არ იყო იმ ბრმა ხალხისა, რომელიც უძლური იყო სამართალი ეგო, რადგან არც არაფრის ცოდნა ჰქონდა და არც უნდოდა რამე სცოდნოდა.

ამ აზრებით მარკოზმა გაუხვია მარჯვნივ და, რა გადავიდა დიდ-ქუჩას, მელბუას ღარიბ უბანში შევიდა. ამ ალაგას მდინარე ვერპილი მოწამლული იყო ქარხნებიდან გამონადენ სიბინძურით; მთელი ეს ვიწრო ქუჩა ჩამყარტლებულ სახლებით მუშა ხალხს ეჭირა. აი აქ, პუზირის ქუჩაზე, იდგა კალატოზი მასსონ დელუარი, რომელსაც ოთხი საკმაო მოზრდილი ოთახი ეჭირა პირველ სართულში, მედუქნის ზევით. რადგან მარკოზმა კარგად არ იცოდა იმის ბინადრობა, უნდოდა ვის თვისმე ეკითხა და სწორედ ამ დროს დაინახა რამდენიმე კალატოზი, რომელნიც იქვე მახლობლად, სამუშაოდან მოსულნი დუქნის დახლზე ღვინოს სვამდნენ და თან ამ მკვლელობის თაობაზე გაცხარებულ ლაპარაკში იყვნენ.

— დამიჯერე! ურიისაგან ყველაფერს უნდა მოელოდე!— გაჰყვიროდა ერთი ზორბა და ქერა კალატოზი,—ერთი ური გვყავდა რაზმში, ქურდობა ჩაიდინა, მაგრამ ფელდფებელობა მაინც მიიღო, იმიტომ რომ ურია, რაც უნდა იყოს, თავს მაინც დააძვრენს.

მეორე, პატარა და შავგვრემანი კალატოზი მხრევს იწევდა

— მართალია, გეთანხმები, რომ ურიები არაფერი შვილი ხალხია, მაგრამ მაინც და მაინც არც მღვდლები არიან იმათზე უკეთესები.

— ჰო, მღვდლები,—უპასუხა ისევ პირველმა,—კარგებიც არიან და ცუდებიც; სხვა რომ არა იყოს-რა, მღვდლები ფრანცუზები მაინც არიან; ურიები კი მურტალი ხალხია,—ეგენი არ იყვნენ, რომ საფრანგეთი ათჯერ მიჰყიდეს მტერსა!

ამ საბუთმა მეორე ძალიან შეარყია; იმის მეტი ველარა მოახერხა-რა იმან, რომ დაეკითხა, „პატარა ბომონტის“ გაზეთში ხომ არ წაგიკითხავს ეს ამბავიო.

— არა, მე არ წამიკითხავს, გაზეთების თავი არა მაქვს, ამხანაგებმა მითხრეს და ესეც რომ არ იყოს, ეს მთელმა ქვეყანამ იცის.

(შემდეგი იქნება)

## საახალწლო დარბაზობა



უფროსის ოჯახში. — თანასწორისი. — თანაშემწისას.

გულის ვარდთან — გულის ვარდთანვე — „პოლიციისაკენ“

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

Доз. ценз. Тифлисъ, 15 Января 1903 г. Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხ—ისა.